პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

კვირა,

12 მარტი, 1961 წ.

№ 31 (1667)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ხალხის რჩეულნი

სპორტკომბინატ „დინამოს“ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას უნდა დაესახელებინა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც კენჭს იყრიდა 120-ე საარჩევნო ოლქში, ბევრია ამ ფაბრიკაში ახალგაზრდა, რომლებსაც სულითა და გულით ეყვართ ფიზკულტურა და სპორტი, თვითონაც მაღალხარისხოვანი სპორტული ინვენტარის შექმნის საქმეს ემსახურებიან და სრულიად კანონზომიერი იყო მათი სურვილი ჰყოლოდათ თავიანთი დარგის წარმომადგენელი, ცნობილი სპორტსმენი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატთა შორის. ადამიანი, რომელსაც არა ერთხელ გაუმართლებია იმედი, ბევრჯერ უსახელებია თავი სარბიელზე და როგორც დეპუტატს არაფერი ექნებოდა სასაყვედურო მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.

არჩევანი შეჩერდა ფეხბურთის ყველა გულშემატკივარისათვის ცნობილ ქართული ფეხბურთის ვეტერანზე, რომელიც ჯერ კიდევ სათავეში უდგას და ჭაბუკური ენერგიით ხელმძღვანელობს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს, **ავთანდილ ნიკოლოზის-ძე ღოღობერიძე** — აი სპორტკომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კანდიდატურა.

ა. ღოღობერიძე მარტო როდია ხალხის რჩეულთა შორის. დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში გამართულ წინასაარჩევნო კრებებზე, კიდევ ბევრი სპორტსმენი იქნა დასახელებული რაიონული თუ საქალაქო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად.

გორის სოლომონის-ძე პაიჭაძის, ცნობილი ფეხბურთელის, ახლა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა ერთხმად წამოაყენა სპორტნაწარმის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა პერსონალის წინასაარჩევნო კრებამ. ბ. პაიჭაძე კენჭს იყრის № 6 საარჩევნო ოლქში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-ენერგეტიკული ფაკულტეტის სტუდენტმა კომკავშირელმა **ირინა ევგენის ასულმა რიაზანოვამ** ამ დღეებში ორი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა მოსკოვში გამართულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში. აქ იგი პირველი იყო ქალთა ერთეულ და შერეულ წყვილთა შეხვედრებში, 23 წლის ქალიშვილს ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია მშობლიური სპორტის, თავის ქვეყნის საკეთილდღეოდ, ამიტომაც იყო რომ მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო კვლევითი ინსტიტუტის წინასაარჩევნო კრებაზე მისი კანდიდატურა წამოაყენეს.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **მედეა ნიკოლოზის ასულმა ჯუღელმა** გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა, ამიტომ კანდიდატურა კვლავ წამოაყენეს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში. ამჯერად მას ნდობა გამოუცხადეს „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს მუშა-მოსამსახურეებმა.

უპარტიოთა და კომუნისტების ბლოკის კანდიდატებად სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თბილისის საბჭოს თანამშრომლებმა დაასახელეს **ბიორგი ვასილის-ძე რცხილაძე**, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ წამოაყენა ინსტიტუტის დირექტორის **ალექსანდრე ბიორგის-ძე ფალავანდიშვილისა** და ასპირანტ **ვახტანგ მიხეილის-ძე ბალავაძის** კანდიდატურები.



სურათზე: მოსკოვის არმიელთა და „ეტუალის“ კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი. ფოტო ე. დავთიანისა.

ქალთა შემოწმებისათვის

როგორც ადრე ვიუწყებოდით, მოსკოვში ჩატარდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოჭიდავეთა (კლასიკური სტილით) შერჩევითი ტურნირი, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის დადგენას მოახლოვებული მსოფლიო პირველობის წინ და ახალგაზრდა მოჭიდავეთა შერჩევას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გასამგზავრებლად.

ჩატარებული პირველობის მიხედვით შედგა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გასამგზავრებელი გუნდი, რომელშიც წონითი კატეგორიების მიხედვით მოხვდნენ: ი. კოჩერგინი (მინსკი), ვ. ტროიანოვსკი (კიევი); მ. ღუდუშაური (თბილისი), ვ. ჟიტინიოვი (მინსკი) დ. გვანცელაძე (თბილისი); ა. კოლესოვი (მოსკოვი), მ. ნიგლასი (ტალინი), ს. ზალუსკი (მინსკი). სათადარიგო მოჭიდავეთა შორის არიან ლენინგრადელი ვ. კოციუბა და ტალინელი ი. როოტსი.

როგორც ხედავთ გუნდი, რომელიც მიემგზავრება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ძირითადად ახალგაზრდულია. ამიტომ მასში არ შევიდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრების პირველი ნომრები, ოლიმპიური ჩემპიონები ო. კარავაევი (მინსკი), ა. ქორიძე (თბილისი) და ი. ბოგდანი (კიევი), აგრეთვე ცნობილი მოჭიდავეები გ. გამარნიკი (კიევი) და რ. აბაშიძე (მინსკი).

საბჭოთა მოჭიდავეები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართავენ სამ შეხვედრას, ხოლო შემდეგ გაემგზავრებიან ავსტრიაში. საბჭოთა მოჭიდავეების დელეგაციას ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის ჭიდაობის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ა. ლენცი.

ცსკა—მეოთხედფინალში

ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი მერვედფინალური მატჩი არმიის ცენტრალურ სპორტული კლუბის გუნდსა და შარლეროილის „ეტუალის“ კალათბურთელთა შორის გაიმართა საფრანგეთში. შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა — 68:28.

აღნიშნული გუნდების განმეორებითი მატჩი ჩატარდა მოსკოვში. ფრანგები ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ძირითადი შემადგენლობით ჩამოვიდნენ. გუნდის წევრთა შორის იყვნენ ჟან-პოლ ბენიო (2 მ. 4 სმ), ბერნარ გალე (2 მ), ივონ იმერიკენი და სხვები. სტუმრები საბრძოლოდ იყვნენ განწყობილნი და ყოველნაირად ცდილობდნენ საკუთარ მოედანზე განცდილი დამარცხების რევანშის აღებას, მაგრამ ამაოდ. არმიელმა კალათბურთელებმა, რომლებიც წელს შესანიშნავ სპორტულ ფორმაში არიან, ბრწყინვალედ ჩაატარეს შეხვედრა და მოიპოვეს დამაჯერებელი მოგება — 93 : 35.

ამრიგად, ცსკა-მ გაინაღდა მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება. აქ იგი შეხვდება პოლონეთის „ლეგიას“ (ვარშავა).

ნაკრების დამარცხება

9 მარტს ჰოლანდიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ როტერდამში შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. სსრ კავშირის ნაკრები, გუნდი, რომელიც აქ იმყოფება საწვრთნელი მატჩების ჩასატარებლად, შეხვდა ჰოლანდიის ეროვნული ჩემპიონატის ლიდერს — „ფეიენოორდს“. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები ჰოლანდიაში შარშანაც ამ დროს იმყოფებოდა, თავისი პირველი მატჩი სწორედ „ფეიენოორდთან“ ჩაატარა და მიაღწია ძნელ გამარჯვებას ანგარიშით 1:0. ივლისში „ფეიენოორდი“ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და ითამაშა თბილისშიც, სადაც იგი მასპინძლებმა დაამარცხეს ანგარიშით 3:1.

სსრ კავშირის ნაკრები 10 მარტის მატჩში გამოვიდა ასეთი შემადგენლობით: იაშინი; მედაკინი; ნეტო, ჩოხელი; ვორონინი, მანოშინი; მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბატანოვი, მესხი. შემდგომში ბატანოვი შეცვალა ბუბუკინმა.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 ჰოლანდიელთა სასარგებლოდ.

მსოფლიო რეკორდები

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება „მოსკოვის პრიზზე“.

პირველ დღეს შეჯიბრებაში ჩაებნენ მჩატე წონის ძალოსნები. აქ პირველობისათვის ბრძოლა გაიმართა ვ. სტოგოვს, ვ. მარზაგულოვსა (ორივე სსრ კავშირი) და უნგრელ ი. ფელდს შორის. აჭიმვაში ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა უნგრელმა—107,5 კგ, მაგრამ მომდევნო მოძრაობებში წინ გავიდა ვ. მარზაგულოვი, რომელმაც მოიპოვა პირველი ადგილი — 337,5 (105+102,5+130). მეორე ადგილზე აღმოჩნდა ი. ფელდი, მესამეზე—ჩინელი სპორტსმენი ლი ძი—იუანი.

დიდ ინტერესს იწვევდა ქვემსუბუქი წონის ძალოსნების შეჯიბრება. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ სახელგანთქმული სპორტსმენები ე. მინაევი (სსრ კავშირი) და ი. ბერგერი (აშშ). ამერიკელმა აჩვენა სამჭიდის ჯამში 362,5 კგ. (115+110+137,5), რაც ორნახევარი კილოგრამით მეტი აღმოჩნდა საბჭოთა ათლეტის ნაჩვენებ შედეგზე. ე. მინაევის შედეგია სამჭიდის ჯამში 360 კგ. (117,5+107,5+135).

მსოფლიო რეკორდების მხრივ უხვმოსავლიანი გამოდგა მსუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრება. აქ პირველი ადგილი მოიპოვა ს. ლოპატინმა, რომელმაც სამჭიდის ჯამში აჩვენა 407,5 კგ. ეს შედეგი 10 კგ-ით უკეთესია საბჭოთა სპორტსმენ ვ. ბუშუევის მსოფლიო რეკორდზე. ამავე წონით კატეგორიაში ორი მსოფლიო რეკორდის მფლობელი გახდა ა. ჟგუნი, რომელმაც აიტაცა 127,5 კგ, ხოლო აჭარა 161,5 კგ.

ქვესაშუალო წონაში ყველას აჯობა საბჭოთა სპორტსმენმა ა. კურინოვმა, რომელმაც სამჭიდის ჯამში აჩვენა 440 კგ. ეს შედეგი და მის მიერ ატაცში ნაჩვენები შედეგი — 135 კგ, აგრეთვე ახალი მსოფლიო რეკორდებია.

✦

შანსები შემცირდა

შაბიან ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ტურის შემდეგ, როცა ჩვენმა სპორტსმენებმა პირველი დამარცხება განიცადეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან, საბჭოთა გუნდი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა საკმაოდ პრაქტიკულ შანსებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისათვის. ეს იმ შემთხვევაში, თუ კანადელები დაამარცხებდნენ ჩეხოსლოვაკელებს.

ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი შეხვედრა მომდევნო ტურშივე შედგა, და იგი დამთავრდა შედეგით, რომელიც ჩვენთვის ყველაზე ცუდ ვარიანტს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ამ შეხვედრამდე ჩეხებიც და კანადელებიც დაუმარცხებლად მოვიდნენ. მატჩი ჩეხების მძაფრ შეტევებით დაიწყო და მათივე წარმატებით აღინიშნა პირველივე პერიოდში. პერიოდის დამთავრებამდე 15 წამით ადრე შაიბამ კანადელთა კარის ბადე შეარხია. თამაშის დამთავრებამდე „ტრეილმა“ შეძლო ამ შაიბის გაქვითვა და შეხვედრაც დამთავრდა ასეთი შეჯიბრებისათვის იშვიათი ანგარიშით — 1 : 1.

ამრიგად, ლიდერებს დაკარგული აქვთ თითო-თითო ქულა, ხოლო საბჭოთა ჰოკეისტებს — ორი. ჩვენი შანსები მეტისმეტად შემცირდა და ძირითადად თეორიულ სფეროში გადავიდა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა გუნდმა უკანასკნელ მატჩში დიდი ანგარიშით — 9 :1 დაამარცხა გდრ-ს გუნდი.



ᲡᲞᲝᲠᲢᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ...

ელექტროზარის წკრიალი გაისმა კულინართა სკოლის მასწავლებელთა საკრებულოში. მდივანმა მოკრძალებით შეაღო დირექტორის კაბინეტის კარები.

—მიხმე მომმარაგებელი!—გასცა განკარგულება გოგებაშვილმა.

კარგა ხანს ეძება ბახუსზე შეყვარებული მომმარაგებელი მდივანმა, ბოლოს მიაკვლია, გადასცა დირექტორის დანაბარები სპორტული დარბაზის გაუქმებისა და იქ ბუფეტის მოწყობის შესახებ.

ახლა საგონებელს მიეცა ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელი ლ. ნადირაძე. მის ისედაც ჩაშლილ სპორტულ საქმიანობას ამ ერთიანერთი დასაყრდენის დაკარგვით ყოველგვარი საფუძველი ეცლებოდა. გაბედა, დირექტორს მიაკითხა განცხადებით ხელში. ხანმოკლე საუბრის შემდეგ დამარცხებულმა დატოვა დირექტორის კაბინეტი. „კულინარული სკოლის მოსწავლეების მომავალ სპეციალობასთან ბუფეტი და სადილები უფრო ახლოა, ვიდრე სპორტი“ — უთხრა დირექტორმა და ლ. ნადირაძემაც „ირწმუნა“ უფროსის აზრთა სისწორე, მით უმეტეს, მანვე აჩვენა გამოსავალი — ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარება დერეფანში ან უკიდურეს შემთხვევაში ქუჩაშიც კი შეიძლებაო.

იყო სპორტული დარბაზი, რომელიც მომსახურებას უწევდა არა მარტო მის მფლობელს, არამედ იქვე მყოფ ვაჭრობის ტექნიკუმის სტუდენტებსაც. იყო და აღარ არის. მის წარსულზე მეტყველებს (იხ. სურათი) მეტად თვალსაჩინო ფაქტები — ერთ კუთხეში მიყრილი და ერთმანეთში არეული ორძელი, ხარიხა, ღერძი, სკამები, მათ კანონიერ ადგილზე დიდებულად გამოჭიმული სასადილო მაგიდები...

მანამდე თვითდინებაზე მიშვებულ სექციურ მუშაობას დროზე მოუსწრო დარბაზის „უდროოდ დაკარგვის“ ამბავმა და... სპორტული საქმიანობა გაქრა. დარჩა უხარისხოდ შედგენილი სამუშაო გეგმა, სექციური მუშაობის, ჩატარებული ღონისძიებების არავითარი აღრიცხვა და ა. შ.

რასაკვირველია, ჩვენ ბუფეტის წინააღმდეგი არა ვართ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმის, რომ ბუფეტი მაინცდამაინც სპორტდარბაზის ხარჯზე მოეწყო, რის გამო სკოლაში ჩაკვდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა.

ო. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲑᲚᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲨᲠᲐᲚᲘᲪᲘᲐ ᲡᲣᲠᲐᲛᲨᲘ

ხაშურის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე ამას წინათ აღინიშნა, რომ საკურორტო დაბა სურამში ფიზკულტურა და სპორტი ჯერ კიდევ ჩამორჩება. სხვა სახეობათა შორის, კერძოდ, მოხსენებულ იქნა ფეხბურთიც.

სპორტსაზოგადოება „განთიადის“ მიერ სურამში მოწვეულ იქნა ფეხბურთელთა აქტივი, სადაც კამათში გამოსულნი ამხანაგები აღნიშნავდნენ არსებულ მდგომარეობას და სახავდნენ მისი გამოსწორების გზებს.

აქტივმა აღძრა შუამდგომლობა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს წინაშე, რათა სურამში შეიქმნას ფეხბურთი ჯგუფები, მოეწყოს მსჯელობა და მეგობრული შეხვედრა. ეს ჯგუფები მეცაილობას უნდა შეიდგენენ ადგილზე, ... გახსნა ნავარაუდევია აპრილისათვის.

გ. ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲗ

დამთავრდა „განთიადის“ თბილისის პირადი პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. აქ უძლიერესს სახელასათვის იბრძოდა 150 სპორტსმენი.

ერთეულთა შეხვედრებში ვაჟთა შორის კვლავ ისახელა თავი „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონმა ა. ჭეხაშვილმა (მაუდ-კამვოლის კომბინატი). იგი პირველი იყო ოგრეთვე ვაჟთა წყვილში ტ. ბეგლაროვთან (თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა) და შერეულ წყვილში თანაკომბინატელ ი. რომახოვასთან ერთად. ერთეულთა შეხვედრებში აქ მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტის ვეტერანი ი. ხიმშიაშვილი.

ქალთა შორის პირველობა-ნი გოსანმა გ. სიჩოვამ („ისანი“) არავის დაუთმო ჩემპიონის სახელი.

გ. ᲚᲐᲠᲘᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სპორტის ოსტატი.

„ᲜᲝᲠᲩᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲔᲚᲘᲡ“ ᲗᲐᲡᲖᲔ

პიონერთა რაზმეულების დაუსწრებელი რესპუბლიკური შეჯიბრება მძლეოსნობაში გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ თასზე უკვე ტრადიციული გახდა, წელს იგი მეექვსედ მოეწყო. ამ საინტერესო ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო ასი ათასამდე პიონერ-მოსწავლემ.

შეჯიბრებამ ხელი შეუწყო ნორჩი თაობის მასობრივად ჩაბმას მძლეოსნობაში ასპარეზობის დროს მისმა მონაწილეებმა შეასრულეს პიონერული საფეხურების სპორტული მოთხოვნები და ჩააბარეს იმშთ-ს ნორმატივები. გამოვლინდა ბევრი კარგი სპორტული მონაცემების მქონე ბავშვი.

ასპარეზობა მაღალ დონეზე ჩაატარეს დუშეთის რაიონის ნორჩმა სპორტსმენებმა. რაიონის პიონერთა ორგანიზაციას მიეკუთვნა გარდამავალი ჯილდო — თასი.

მეორე ადგილზეა საჩხერის რაიონის, ხოლო მესამეზე—ქალაქ გორის პიონერული ორგანიზაცია.

10 გამარჯვებული რაზმეული დაჯილდოვდა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ სამახსოვრო ვიმპელებით.

ა. ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲒᲘ

დამთავრდა „შრომთი რეზერვების“ თბილისის პირად-გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიც პროფტექგანათლების სასწავლებლების 120 სპორტსმენი მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა მე-6 სახელოსნო სასწავლებელმა, ქალთა შორის—23-ე სახელოსნოს სასწავლებელმა.

პირად პირველობაში გამარჯვებულები გამოვიდნენ ს. სიდელნიკოვი (მე-18 სამშენებლო სასწავლებელი) — 100 მ რბენასა — 12,0 წ. და სიგრძეზე ხტომაში— 6,02 სმ, 800 მეტრი მოიგო მისმა თანაგუნდელმა ა. შიტუხინმა, ყუმბარის ტყორცნაში შედეგით 66 მ გამარჯვებული გამოვიდა გ. გოგოლაური (რკ. გზის სახელოსნო სასწავლებელი № 1),

ქალთა შორის უკეთესი შედეგები აჩვენეს: 60 მეტრზე რბენასა და ყუმბარის ტყორცნაში კ. მუზაშვილმა, 400 მეტრზე რბენაში —ი. ანტონოვამ (ორივე 23-ე სახელოსნო სასწავლებელი) და სხვებმა, სულ ნაჩვენები იქნა 65 თანრიგის შედეგები, მათ შორის 6 მეორე თანრიგისა.

ი. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ

ᲠᲐ ᲔᲚᲘᲡ ᲰᲝᲙᲔᲘᲡ?

„ლელოს“ რედაქციაში ბევრი წერილი შემოდის სპორტის გულშემატკივართაგან, რომლებსაც აინტერესებთ ჩვენს რესპუბლიკაში ახალი სახეობის — ჰოკეის განვითარების პერსპექტივები, დღევანდელი მდგომარეობა და პირობები.

მათი თხოვნის დასაკმაყოფილებლად რედაქცია დაუკავშირდა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელს —ვ. ზახაროვს, რომლის წერილსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

წაგება! ისევ წაგება! გაუთავებელი დამარცხებები! ასე დაიწყო ჰოკეი საქართველოში. მაგრამ, ის მართლაც და ასე უნდა დაწყებულიყო. არ შეიძლება ოსტატებთან და პირველთანრიგოსნებთან მოთამაშე ახალბედებს პირველივე ხანებში მოვთხოვოთ გამარჯვებები და აღშფოთებას გამოვთქვამდეთ მათი წაგებების გამო. გუნდი ხომ სულ ორი თვეა ნამდვილ ყინულზე დგას და იგი ეჯიბრება რესპუბლიკებს, სადაც ჰოკეის თამაშობენ 15 და მეტი წელი. ისეთი რესპუბლიკები, როგორიცაა ესტონეთი, ბელორუსია და ლატვია, თავის დროზე „ა“ კლასში თამაშობდნენ. ჩვენ?! ჩვენ სრულიად ახლები ვართ. იმ რესპუბლიკებში ციგურებზე სკოლამდელ ასაკში დგებიან... მრავალი წლის მანძილზე მათ ყოველმხრივად დახვეწილი აქვთ ციგურებით რბენის ტექნიკა, ჩოგნისა და შაიბის ხმარება, უამრავი ტაქტიკური ვარიანტები. მათთან წაგება საერთოდ არაა სასირცხვილო, ხოლო ჩვენთვის — მითუმეტეს. ჩვენ ჰოკეი დავიწყეთ სრულიად სხვა პირობებში.

მე სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: ექვსი თვის მანძილზე (თუ ზაფხულის მოსამზადებელ პერიოდსაც ჩავთვლით) საქართველოს ჰოკეიმ გააკეთა იმდენი რამ, რასაც სხვაგან მეტად საეჭვოა, რომ გააკეთებდნენ. და იგი თავის ნამდვილ სიტყვას იტყვის სულ მალე, თუ, რა თქმა უნდა, საამისო პირობები შეექმნება.

როდესაც ჩვენთან ყველაფერი იქნება გაკეთებული გეგმაზომიერი და სრულწლიური მუშაობისათვის, საზოგადოებრიობას შეეძლება უკვე სრული საფუძვლით მოითხოვოს ჩვენგან გამარჯვებები.

იმისათვის, რომ საქართველოში წარმატებით განვითარდეს სპორტის ეს სახეობა, აუცილებელია ჩვენ გვქონდეს ყინულოვანი ბაზები. არა მარტო ბაკურიანში, არამედ ბოგდანოვკაშიც, ახალქალაქშიც, დუშეთში, სვანეთში და მრავალ სხვა ადგილებზე, სადაც ხანგრძლივი ზამთარი იცის. ასეთ ადგილებს სპეციალური და გულმოდგინე ძებნა უნდა. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ბაზები გვქონდეს ქალაქებში — ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ხოხუმში და რა თქმა უნდა, თბილისში, სადაც ძალიან ბევრი ახალგაზრდობაა, რომელიც აუცილებლად შეიყვარებს ამ ტემპერამენტიან, მეტისმეტად სწრაფ და აზარტულ თამაშს, რომელიც თავისი ხასიათით მეტად ახლოს დგას ქართველების ხასიათთან. ამ ქალაქებში უნდა იყოს არა მარტო ზამთრის, არამედ საზაფხულო ბაზებიც, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც ასფალტიანი მოედნები, ისე ხელოვნური ყინულის სარბიელები, სადაც მუშაობა მთელი წლის განმავლობაში იწარმოებს. ბაზების უქონლობის გარდა ჩვენ ბევრი რამ გვიშლის ჰოკეის დამკვიდრებაში. ჩვენში მეტად ძნელ პირობებში დაიბადა ეს სახეობა: იგი დაიწყო ზაფხულში და არა ყინულის, არამედ გორგოლაჭებიანი ციგურებით, შაიბის ნაცვლად იყო ჰოკეის ან სულაც ტენისის ბურთები, არ იყო საკმარისი რაოდენობით ჩოგნები, სადგარები, ჭებირები, გასახდელები, შხაპები. და მაინც ჰოკეი დაიბადა საქართველოში! ეს კი ნიშნავს — მას შეუძლია იცოცხლოს და წარმატებით განვითარდეს სულ უფრო მზარდ ხელშემწყობ პირობებში. ამ პირობებში კი, უპირველესად ყოვლისა, ბაზების გარდა, იგულისხმება ციგურების, სპეციალური ფეხსაცმელების, შაიბების, ჩოგნებისა და სხვა ინვენტარის მასობრივი შეძენა, წარმოებაც კი.

საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ჩვენ გამოსვლები მოგვიხდა, ახლა უამრავ მოზარდს ნახავთ, რომლებიც ხელნაკეთი ჩოგნებით და სხვადასხვაგვარი ციგურებით თამაშობენ ერთმანეთში „ველურ“ ჰოკეის, რომელშიც შაიბის ნაცვლად კონსერვის ქილა ან სხვა მსგავსი საგანი ფიგურირებს. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს და უპირველესად ყოვლისა. იმაზე, რომ ყველგან, სადაც კი ასეთი რამ ხდება, საჭიროა საქმის მოყვარული, ფხიზელი და გონივრული თვალი ჰოკეის მცოდნისა.

იმ გარემოებათაგან, რომლებმაც ჩვენ ურყევი რწმენა ჩაგვისახეს, რომ საქართველოში აუცილებლად იქნება ნამდვილი, მაღალი კლასის ჰოკეი, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს აქაური ტემპერამენტი. იცით თუ არა თქვენ, რას ნიშნავს, როცა ახალბედა, ჯერ კიდევ გამოუცდელი ჰოკეისტი მთელი სიმძიმით ეცემა ასფალტიან მოედანზე და ტკივილს კი ვერ გრძნობს?! იცით თუ არა რას ნიშნავს ის ფაქტი, როცა ჩვენი მოთამაშეები საკუთარ სხეულს უხვედრებდნენ გამოქანებულ შაიბას, როცა ისინი საკუთარი სხეულით „ახშობდნენ“ მეტოქის დარტყმას და ლამის „მსხვერპლად“ მოჰქონდათ თავი კრიტიკული მომენტების გადასარჩენად?! ასეთი რამ ყველგან არ ხდება, მითუმეტეს დამწყებ ჰოკეისტებში... ყველგან ვერ შეხვდებით ასეთ თავგანწირვას, მონდომებას, აზარტს, რომლებსაც ქართველი დამწყები ჰოკეისტები ავლენდნენ, ყველგან და რომლებითაც, დიდი დამარცხებების მიუხედავად, საერთო სიმპათიებს იხვეჭდნენ ესტონეთსა და ბელორუსიაში, უკრაინასა და რუსეთში. იქნებ სასაცილოდაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს ფაქტია: ჩვენ არა ერთმა და ორმა სპეციალისტმა გვითხრა, როცა მათ ჩვენი ახალბედების სუსტი მაგრამ მაინც თავისი სპეციფიკური ხასიათით აღბეჭდილი თამაში ნახეს — „ეს ხომ კანადური ჰოკეის ჩანასახებიაო?!“, მე ასეთ შემთხვევაში ვპასუხობდი: „არა, ეს კანადური არ იქნება, ეს კიდევ ახალი, უფრო სხვაგვარი, ქართული ჰოკეი იქნება“. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას: ჩვენ ისე არ დავიწყებდით მუშაობას, რომ წინ მეტისმეტად საინტერესო, მეტისმეტად მიმზიდველი და მეტისმეტად საპატიო პერსპექტივა არ გვესახებოდეს. ბოლოსდაბოლოს, ისიც საამაყოა, რომ საქართველო იქნება ჩვენს ქვეყანაში სამხრეთული ჰოკეის პირველი წარმომადგენელი!

ჩვენ ხშირად მოგვმართავენ შეკითხვით: რამდენი ხნის შემდეგ შეიძლება ველოდოთ გამარჯვებებს? როდის დაიწყებენ ჩვენი ჰოკეისტები მოგებას ძლიერ მეტოქეებთან? ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა ამ გულშემატკივარს ვპასუხობ: ეს დრო შეიძლება დადგეს 3 წელიწადში, თუ იქნება ხელშემწყობი პირობები, ხოლო დაგვიანებს 5 და მეტ წლამდე, თუ ჩვენ ისეთივე ძნელ პირობებში მოგვიხდება მუშაობა, როგორიც დღეს გვაქვს. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ და დაბეჯითებით მინდა გავუსვა ხაზი მთავარს, გადამწყვეტს: საჭიროა ბაზები — საზაფხულო და ზამთრის ბაზები, საჭიროა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით და რაც შეიძლება მეტ ადგილას! როცა საქართველოში ათასობით ბავშვი დადგება ციგურებზე და ჩოგანს დაიკავებს ხელში, მაშინ შეიძლება დაბეჯითებით და გადაწყვეტით ითქვას: ჰოკეიმ საბოლოოდ გაიმარჯვა! ჰოკეი არ დატოვებს საქართველოს!

ვ. ᲖᲐᲮᲐᲠᲝᲕᲘ,
სპორტის ოსტატი, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი ჰოკეიში.

ᲚᲔᲚᲝ
ᲗᲑ.-Ს ᲥᲐ. № 31 (1667)

სტარტზეა ქალები

დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე 8 მარტს დაიწყო და ათ დღეს გაგრძელდება ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თბილისის IX ქალთა ტრადიციული სპარტაკიადა. ფინალურ შეხვედრებს წინ უსწრებდა შეჯიბრებანი ადგილებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7 ათასამდე ფიზკულტურელმა, ფინალური შეჯიბრების სტარტზე გამოვიდა 13 უძლიერესი კოლექტივი. მათ შორისაა ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, ფეხსაცმლის ფაბრიკის, ქარხანა „ელექტროგამშვების", მაუდ-კამვოლის კომბინატისა და სხვათა გუნდები. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან სპორტის 8 სახეობაში — მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ფრენბურთსა და კალათბურთში, ჭადრაკსა და სხვ.

ბრძოლაში უკვე ჩაებნენ მოჭადრაკეები, რომელთა შეხვედრები მიმდინარეობს რესპუბლიკის საჭადრაკო კლუბში. მძლეოსნები ერთმანეთს ეჯიბრებიან „ბურევესტნიკის" სტადიონზე. ფრენბურთელთა და კალათბურთელთა შეხვედრების ჩატარება განზრახულია ლენინის სახელობის დარბაზში, ტანმოვარჯიშეები გამოვლენ სტალინის სახელობის სანაპიროზე მდებარე დარბაზში, მსროლელები ერთმანეთს შეეჯიბრებიან კიროვის რაიონის ტირში, ხოლო ველოსიპედისტები — საქართველოს სამხედრო გზის მე-9 კილომეტრზე.

უკვე დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდების პირველობა. 12 კოლექტივი გაყოფილი იყო 4 ქვეჯგუფად. აქ გამარჯვებულებმა გაითამაშეს საპრიზო ადგილები. პირველი ადგილი მოიპოვა 26 კომისრების სახ. რაიონის კოლექტივმა „ისანმა", მეორე იყო მაუდკამვოლის კომბინატი, აღსანიშნავია, რომ ამ კოლექტივს ქვეჯგუფში არც ერთი შეხვედრა არ ჩაუტარებია, რადგან მისი ერთი მოწინააღმდეგე — კოტონის წინდების ფაბრიკა არ გამოცხადდა, ხოლო მეორემ შეჯიბრებაზე დააგვიანა. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ამ ღონისძიებას ყველგან როდი მოეკიდნენ გულისხმიერად. ასე ითქმის შეჯიბრების ორგანიზატორებზეც, რომლებმაც მონაწილე გუნდებს დროულად არ დაუგზავნეს პროგრამები, სადაც აღნიშნული იქნებოდა შეხვედრების ჩატარების ადგილი და დრო.

სპარტაკიადა გრძელდება...

დავა გრძელდება

საქართველოს 1961 წლის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში

✦

ქალაქის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სპორტდარბაზში ჩატარდა საქართველოს პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ასზე მეტი მოჭიდავე, რომელთაგან 30 სპორტის ოსტატი იყო.

უმძიმეს წონაში, პირველობა დაისაკუთრა სპარტაკელმა სპორტის ოსტატმა ვ. ყაზაროვმა.

როდესაც „ბურევესტნიკელმა" რ. ძნელაძემ (მძიმე წონა) შეხვედრები დაამთავრა 7 საჯარიმო ქულით, ხალიჩაზე გამოვიდა უკანასკნელი წყვილი: ამდენივე საჯარიმო ქულის მქონე სპარტაკელი ი. ვალიშვილი და „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელი სპორტის ოსტატი ო. მელაშვილი, რომელსაც მხოლოდ 4 საჯარიმო ქულა ჰქონდა. მელაშვილისათვის პირველობის მოსაპოვებლად არა თუ ფრე, ქულებით წაგებაც კი საკმარისი იყო, მაგრამ მან აქტიურად ჩაატარა შეხვედრა და გამარჯვებას მიაღწია. ამრიგად, მეორე ადგილზე აღმოჩნდა ძნელაძე, ხოლო ვალიშვილმა გადაინაცვლა მესამე ადგილზე.

მსუბუქ წონაში დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია სპარტაკელმა სპორტის ოსტატმა გ. მინასიანმა, მეორე ადგილი წილად ხვდა განთიადელ სპორტის ოსტატს ე. აჯიაშვილს, რომელმაც მინასიანთან შეხვედრა ფრედ დაამთავრა.

გამარჯვების ბედი ქვესაშუალო წონაში მხოლოდ უკანასკნელ შეხვედრებში გადაწყდა. პირველობის მთავარი პრეტენდენტებიდან (ო. ტუხულოვი, რ. შათაშვილი, გ. საკანდელიძე) უპირატესობა ლოკომოტიველ ო. ტუხულოვს ხვდა წილად. მეორე ადგილზე გამოვიდა რ. შათაშვილი, მესამეზე — ქუთაისელი გ. საკანდელიძე.

საშუალო წონაში უძლიერესის სახელი დაიმსახურა ქუთაისელმა სპორტის ოსტატმა დ. დათუსანმა, რომელმაც განსაკუთრებული ალმაცრობით ჩაატარა შეხვედრები ბურევესტნიკელ დ. ჯაფარიძესთან და განთიადელ გ. კაპანაძესთან. მძიმე წონოსანთა შორის უძლიერესი გამოდგა ბურევესტნიკელი სპორტის ოსტატი ა. ხაბეიშვილი.

საინტერესო მდგომარეობა შეიქმნა ქვემძიმე წონაში. აქ სამ მოჭიდავეს — ფ. გველესიანს, გ. ხაბულიანს და ი. ტულუშს აღმოაჩნდათ ქულათა თანაბარი რაოდენობა. ამასთან გველესიანს გამარჯვება ჰქონდა ტულუშზე, ტულუშს ხაბულიანზე, ხოლო ხაბულიანს — გველესიანზე.

გამარჯვებულის გამოსავლინებლად საჭირო გახდა ჭიდაობის წესების მოშველიება. სწორედ მსაჯთა კოლეგიის საბოლოო სხდომაზე იჩინა თავი გაუგებრობამ და დაიწყო ხანგრძლივი დავა. საქმე ის არის, რომ მსაჯთა ერთი ნაწილის გაგებით წესები ხაბულიანის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, მეორე ნაწილის გაგებით კი უპირატესობას გველესიანს ანიჭებდა. ჩანს, რომ ან წესების ზემოაღნიშნული მუხლებია ბუნდოვანი, ან მსაჯთა ნაწილმა სწორად ვერ გაიგო წესების ის ნაწილი, რომელიც გამარჯვებულის განსაზღვრას ეხება. მართალია, ამჯერად გამარჯვებულად გველესიანი გამოაცხადეს, მაგრამ მსაჯთა ის ნაწილი, რომელთა გაგებით წესები გამარჯვებას ხაბულიანს აძლევდა, თავის აზრზე დარჩა. დავა გრძელდება.

ა. ბარნოვი

სურათზე: შეჯიბრების მომენტი. ფოტო გ. სახეჩიძისა.

დინამოელთა მატჩი

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი საწვრთნელ შეკრებას გადის გაგრაში.

10 მარტს დინამოელებმა თავიანთი პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარეს დნეპროპეტროვსკის „ავანგარდთან", თამაში შედგა ლესელიძეში.

პირველ ტაიმში ბარქაიამ და იამანიძემ ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგეთა კარში. შესვენების შემდეგ „ავანგარდმა" გაქვითა ერთი გოლი, მაგრამ შემდეგ ბარქაიამ კიდევ ერთი ბურთის გატანა შეძლო და მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 3 : 1.

თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, თორაძე, ხოჭოლავა; გ. სიჭინავა, ხუნდაძე; მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, ჟორდანია.

✦

ამ სურათზე ხედავთ საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის (ქართულ ჭიდაობაში) ა. კიკნაძის და სპორტის ოსტატის ვ. მედვედის (ბელორუსია) ორთაბრძოლას მოჭიდავეთა საკავშირო პირველობაზე. შეხვედრა როგორც ცნობილია მოიგო მინსკელმა სპორტსმენმა.



ქვეჯგუფის უკანასკნელი მატჩი

ფრენბურთში (ქალთა შორის) ჩვენი ქვეყნის პირველობაზე პირველ ქვეჯგუფში ჩასატარებელი იყო მხოლოდ ერთი მატჩი — თბილისისა და ოდესის „ბურევესტნიკის" გუნდებს შორის. სტუმრებისათვის ამ შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისინი დამარცხების შემთხვევაშიც გადიოდნენ ფინალში. მიუხედავად ამისა ოდესელმა ფრენბურთელებმა შეხვედრა დიდი აღმავლობით დაიწყეს და საგრძნობი განსხვავებით წინ გავიდნენ პირველ პარტიაში, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა მათ ოდნავ მოედუნებინათ თამაში, რომ ჩვენი დედაქალაქის ფრენბურთელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და ანგარიშის გათანაბრებაც კი — 13:13, 14:14, მაგრამ თბილისელებს იმდენი ოსტატობა არ ეყოთ, რომ პარტია თავიანთ სასარგებლოდ დაემთავრებინათ, გაიმარჯვეს ოდესელებმა — 16 : 14.

ეს იყო და ეს. თბილისის „ბურევესტნიკმა" მომდევნო პარტიებში ისე სუსტად ითამაშა, რომ სტუმრების ყოველი იერიში მიზანს აღწევდა. მეორე და მესამე პარტიების ანგარიშია 15 : 2, 15 : 6 ოდესის გუნდის სასარგებლოდ.

რა შეიძლება ითქვას ჩვენი ფრენბურთელების თამაშის შესახებ. გუნდმა საკავშირო პირველობის 7 მატჩიდან ერთი მოიგო და მხოლოდ ტალინის „კალევი" ჩამოიტოვა უკან, რომელსაც არც ერთი გამარჯვება არა აქვს. არც შეიძლება ყოფილიყო სხვაგვარად. თბილისელები ძალზე სუსტად თამაშობენ როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში. თუ კი წინა წლებში კარგი თამაშით გამოირჩეოდა ც. აბუაშვილი, რომელიც გასულ წელს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ფრენბურთელთა რიგებშიც იყო, ამჯერად იგი გუნდში რიგითი მოთამაშის შთაბეჭდილებას ტოვებს, არც გუნდის სხვა მოთამაშეებს ეტყობათ წინსვლა. ისინი წლების განმავლობაში ერთ ადგილს ტკეპნიან და ამიტომაა ასეთი ღარიბი მათი ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი.

ზ. ნადიბაიძე

XXII საჭადრაკო ჩემპიონატი

მეთხუთმეტე ტური

ფინიშის სიახლოვემ გაამახვილა ინტერესი ტურნირისადმი. რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი, სადაც ტურნირი მიმდინარეობს, ყოველთვის ივსება მაყურებლებით. განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ეს XV ტურში, რომელშიც ჩვენი მოჭადრაკეთა ლიდერები გურგენიძე, შიშოვი და ბუსლაევი შეხვდნენ შტეინს, გუფელდსა და ხოლმოვს.

დარბაზი ყრუ ხმაურით გამოხატავდა თავის აღტაცებას ამა თუ იმ სვლით. ადვილი გამოსარჩევი არიან მაღალკვალიფიციური მოჭადრაკეები, რომლებიც თამაშს ესწრებიან ჯიბის ჭადრაკებით „შეიარაღებულნი". უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორი, პირველთანრიგოსანი ი. ვეშაპიძე განსაკუთრებით იყო დაინტერესებული გურგენიძე-შტეინის პარტიით. ამ პარტიით ბევრი სხვაც იყო დაინტერესებული. ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ანთაძე იზიარებდა გურგენიძის ყოველ „გასაჭირს", აქ იყო პროფესორი ვ. ბერიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. პაატაშვილი და სხვები.

გურგენიძემ თავის ქომაგებს დაწყვიტა გული. უკვე დებიუტში (ძველინდური დაცვა) შტეინმა შავებით შესძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება. გურგენიძის მეფე უროქოთ დარჩა. ამან უკრაინის ჩემპიონს გაანედვინა მხედარსა და პაიკში ეტლის შეწირვა. გაჩაღდა ძალზე მწვავე თამაში, რომელშიც ღრმად გარკვევა არც თუ ისე იოლი იყო. გურგენიძე მოხერხებულად იგერიებდა მუქარებს, რომლებიც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა შავების მხრიდან. მაშინ, როცა გურგენიძის მეფემ შავებით „ამოისუნთქა", მას მოულოდნელი, სასიკვდილო დარტყმა ელოდა. შტეინმა პაიკი გაიყვანა მხედარში და საშამათო ქსელში გაახვია იგი. გურგენიძემ შეწყვიტა წინააღმდეგობა. დარბაზში გაისმა ტაში, რაც ორივე ოსტატს ეკუთვნოდა შინაარსიანი თამაშისათვის.

უფრო ადრე დამთავრდა ბუსლაევ-ხოლმოვის პარტია. თბილისელმა ოსტატმა ჰოლანდიურ დაცვაში უპირატესობა მიიღო, მაგრამ მისი „გაღვივება" დიდ დაბრკოლებათა გადალახვასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ბუსლაევმა დაზავება არჩია.

მომხიბლავი სიმწვავით უტევდა შიშოვი გუფელდს.

— არა, ამჯერად გუფელდი ვეღარ გადაურჩება წაგებას, — გაგვიზიარა ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა პირველთანრიგოსანმა მ. გაგუამ.

რამდენიმე სვლის შემდეგ გუფელდმა დაკარგა პაიკი, მაგრამ შეძლო ფიგურების მაქსიმალური გააქტიურება. პარტია გადაიდო. შესაძლებელია თუ არა ზედმეტი პაიკის რეალიზება, ამას მხოლოდ გულდასმითი ანალიზი იტყვის.

ლიდერების „ტრიუმვირატმა" დაჩრდილა სხვა პარტიები. ლომაიამ მოუგო ბერაძეს, მიქაელიანმა — ბლაგიძეს, ხოლო ჯანოევ-შეინცვიტისა და ბრეიტმან-ეგიაშვილის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. ორი პარტია გადაიდო.

* * *

გადადებული პარტიების დამთავრება

დიდი გულისყურით შეუდგა შიშოვი უპირატესობის რეალიზაციას გუფელდთან. ორივე მსუბუქი ფიგურის გაცვლით მან თამაში გადაიყვანა ეტლების თეორიულად მოსაგებ ენდშპილში. თბილისელმა ოსტატმა ერთადერთი სვლებით ლიდერს პირველი დამარცხება მიაყენა.

ორი დამარცხება განიცადა გამრეკელმა. ლომაიამ და გიორგაძემ ზუსტი თამაშით მოგებამდე მიიყვანეს მცირე უპირატესობა. გაგუამ ხანგრძლივი თამაშის შემდეგ გატეხა ჯანოევის შეუპოვარი წინააღმდეგობა და გაიმარჯვა. ჩიქოვან-კალატოზიშვილის პარტიაში გაიმარჯვა კალატოზიშვილმა.

XV ტურის შემდეგ ე. გუფელდს 13,5 ქულა აქვს, ლ. შტეინს — 12, ბ. გურგენიძეს — 11,5, რ. ხოლმოვს — 11, ა. ბუსლაევს — 10,5, თ. ლომაიას — 9 ქულა.

გუშინ, ჩემპიონატზე დასვენების დღე იყო. დღეს შედგება XVI ტური, რომელშიც ინტერესს იწვევს გუფელდ-გურგენიძის შეხვედრა.



უკანასკნელ თვეებში მეტად შესამჩნევი გახდა თბილისელი ჩოგბურთელის ნ. მძინარაშვილის წარმატება. ამ სურათზე, რომელიც ჩვენს მოსკოველ კორესპონდენტს ვ. ტუტოვს ეკუთვნის, აღბეჭდილია ის მომენტი, როდესაც მან (მარჯვნივ) გამარჯვებით დაამთავრა შეხვედრა ფრანგ ბ. ბუდაბულთან. მოწინააღმდეგე მას ულოცავს გამარჯვებას.

საიუბილეო

შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში

ქუთაისის ზონა

ქართულ ჭიდაობაში საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ქუთაისის ზონის პირველობაზე ნაცვლად ოთხი რაიონის კოლექტივისა ორი გუნდი მონაწილეობდა — ამბროლაურისა და ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების გუნდები. მათ შეხვედრაში გაიმარჯვეს ამბროლაურელებმა. შეჯიბრებაზე არ გამოცხადდნენ ტყიბულისა და წყალტუბოს რაიონის კოლექტივები.

კასპის ზონა

კასპის ზონაში მეტად დაძაბული და გაფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. 7 რაიონის 50 მოჭიდავე ეცილებოდა ერთმანეთს პირველობისათვის. კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივის წარმომადგენლებმა მოიპოვეს ოთხი პირველი ადგილი და გუნდური გამარჯვებაც გაინაღდეს. შეჯიბრების მეორე დღეს გაირკვა მეორე ადგილის ბედიც. ხაშურის საბჭოთა მეურნეობისა და ქარელის ავტოსატრანსპორტო კანტორის ძირეული კოლექტივების მოჭიდავეთა დაძაბულ ბრძოლაში. მეორე ადგილზე ხაშურის გუნდი გამოვიდა.

აღსანიშნავია ბოგდანოვკის, ასპინძის და ბორჯომის მოჭიდავეთა რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება ძლიერ მეტოქეებზე. მათ შორის არიან: ა. ინასარიძე (ასპინძა), თ. გოგოლაძე და გ. ფაფიტაშვილი (ბორჯომი), რ. კაროლიანი (ბოგდანოვკა) და სხვები.

ქ. ხოვლელი

* * *

კახეთის ზონა

ორ დღეს გრძელდებოდა საინტერესო ბრძოლა საგარეჯოს საჭიდაო დარბაზში კახეთის ზონის რაიონების — სიღნაღის, ყვარლის, თელავის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, ახმეტისა და საგარეჯოს საუკეთესო მოჭიდავეებს შორის.

შეჯიბრების პირველ დღესვე ნათელი იყო, რომ პირველი ადგილისათვის ბრძოლა ძირითადად წარიმართებოდა ახმეტის, წითელწყაროს და საგარეჯოს რაიონების მოჭიდავეებს შორის. მასპინძლებმა ფინალში ზედიზედ დაამარცხეს ახმეტელი და წითელწყაროელი მოჭიდავეები და მოიპოვეს პირველი ადგილი.

ამ შეჯიბრებაში კარგი ფიზიკური მომზადება გამოამჟღავნა საგარეჯოელმა მძიმე წონის ახალგაზრდა მოჭიდავემ გ. ხუროშვილმა, რომელმაც ყველა შეხვედრა სუფთად მოიგო.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს აგრეთვე საგარეჯოელებმა გ. სირაძემ, გ. გვარეძიშვილმა, ახმეტელებმა ტ. ბულკაშვილმა, ს. ბორჩაშვილმა და ვ. მწარიაშვილმა, წითელწყაროელებმა ა. ჩიტაშვილმა, ო. ვეშაგურმა და შ. სიფრაშვილმა, თელაველებმა ე. ცისხისთამა და გ. ნახუცრიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაზე არ გამოცხადდნენ გურჯაანის რაიონის მოჭიდავეები.

ი. ძაბილაშვილი

რედაქტორი ი. უზულავა.

ჩემპიონთა თასზე

ამას წინათ ციურიხში შედგა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების კენჭისყრა. მეოთხედფინალებში თამაშობენ: „ბერნლი" (ინგლისი)-„ჰამბურგი" (გფრ); „სპარტაკი" (ჩეხოსლოვაკია)--„ბარსელონა" (ესპანეთი). გამარჯვებულები ერთმანეთს შეხვდებიან ნახევარფინალში. მომდევნო წყვილებია: „რაპიდი" (ავსტრია)-„იფკ მალმე" (შვეცია); „ბენფიკა" (პორტუგალია)-„ორჰუსი" (დანია), გამარჯვებულები ერთმანეთს შეხვდებიან ნახევარფინალში.

უკვე შედგა რამდენიმე მეოთხედფინალური მატჩი. 130 ათასი მაყურებელი ესწრებოდა ბარსელონაში თამაშს „ბარსელონასა" და „სპარტაკს" შორის. ესპანელებმა ჩეხები დაამარცხეს დამაჯერებელი ანგარიშით — 4 : 0. განმეორებითი შეხვედრა გაიმართება 15 მარტს პრაღაში, ვინაიდან ქ. გრადეც-კრალოვეში სტადიონი პატარაა, ხოლო მატჩზე დასწრების მოსურნეთა რაოდენობა მეტისმეტად დიდი.

ლისაბონის „ბენფიკამ" თავის მინდორზე მიიღო „ორჰუსი" (დანია) და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:1.

თასის ფინალური მატჩი უნდა შემდგარიყო რომში, მაგრამ იტალიელებმა უარი თქვეს ფინალის მასპინძლობაზე, რის მოტივადაც წამოაყენეს ეკონომიური და კალენდარული სიძნელეები. უეფა-მ გადაწყვიტა ფინალი ჩაატაროს ბერნში (შვეიცარია).

✦

ინგლისის თასის გათამაშებაში შედგა მეოთხედფინალური მატჩები. უშედეგოდ დამთავრდა შეხვედრები „ლეისესტერ სიტისა" და „ბერნლის", აგრეთვე „შეფილდ უენსდეისა" და „ბერნლის" შორის. ფრედ ითამაშეს აგრეთვე „ტოტენჰემმა" და „სანდერლენდმა" — 1 : 1, „შეფილდ იუნაიტედმა" ანგარიშით 3 : 1 დაამარცხა „ნიუკასლ იუნაიტედი" და გავიდა ნახევარფინალში.

გადათამაშება „ბერნლისა" და „შეფილდ უენსდეის" შორის დამთავრდა „ბერნლის" გამარჯვებით—2:0. „ტოტენჰემმა" დაამარცხა „სანდერლენდი" — 5 : 0, ხოლო „ლეისესტერ სიტიმ"—„ბერნლი" — 2:1.

იუგოსლავიის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ „ვარდარი" (სკოპლე) და „ვარტექსი" (ვარიჟდინი).

✦

უნგრეთის ნაკრების შედეგები

გერმანულმა გაზეთმა „ინტერნაციონალეს შპორტ-ეხომ" გამოაქვეყნა საინტერესო ცხრილი უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შედეგებისა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ნაკრებთან მოყოლებული 1945 წლიდან. უნდა ითქვას, რომ უნგრელებმა მიაღწიეს საუკეთესო შედეგებს — 124 მატჩიდან მათ მოიგეს 87, ფრედ დაამთავრეს 19 და წააგეს მხოლოდ 18. ბურთების შეფარდებაა 441 : 167 უნგრელთა სასარგებლოდ.

ყველაზე მეტი მატჩი (20) უნგრელებმა ჩაატარეს თავიანთ ძველ მეტოქეებთან — ავსტრიელებთან. უნგრელებმა მოიგეს 14, ფრედ დაამთავრეს 2 და წააგეს 4. ბურთების შეფარდებაა 61 : 34 უნგრელების სასარგებლოდ. დღევანდელ მსოფლიო ჩემპიონებს — ბრაზილიელებს, უნგრელები შეხვდნენ მხოლოდ ერთხელ (1954 წ. მსოფლიოს V ჩემპიონატში) და მოიგეს ანგარიშით 4 : 2. ასეთივე ანგარიშით მოიგეს უნგრელებმა ერთადერთი შეხვედრა ურუგვაელებთან იმავე ჩემპიონატში. ძალზე „დაჩაგრეს" უნგრელებმა ინგლისელები, მოუგეს მათ სამი მატჩი სამიდან (6 : 3, 7:1 და 2:0). იუგოსლაველებისთვისაც უნგრელები არიან ყველაზე უფრო უსიამოვნო მეტოქეები მთელ მსოფლიოში. 9 მატჩიდან უნგრელებმა მოიგეს 6, ფრედ დაამთავრეს 3, ბურთების შეფარდებით 25 : 12. მათივე სასარგებლოდ. ასევე ამარცხებენ უნგრელები ბულგარელებს (7 მატჩიდან 4 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთების შეფარდება 22 : 5), ჩეხოსლოვაკელებს (9 მატჩიდან 7 მოგება და 2 წაგება, ბურთების შეფარდებაა 30:14).

იტალიელებს (3 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთების შეფარდება 12:5), პოლონელებს (8 თამაშიდან 8 მოგება, ბურთების შეფარდება 41 : 10), რუმინელებს (7 თამაშიდან 7 მოგება ბურთების შეფარდებაა 33 : 6), შოტლანდიელებს (4 თამაშიდან 2 მოგება და 2 ფრე, ბურთების შეფარდება 11:7), შვედებს (10 თამაშიდან 6 მოგება, 3 წაგება და 1 ფრე, ბურთების შეფარდებით 34 : 15), შვეიცარიელებს (5 თამაშიდან 5 მოგება, ბურთების შეფარდებით 27 : 10).

მაგრამ არიან უნგრელებისათვის მძიმე მოწინააღმდეგეებიც. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ბელგიელები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ევროპაში უძლიერესთა რიცხვს, მაგრამ წარმატებით თამაშობენ უნგრელებთან. 3 თამაშიდან უნგრელებმა მოიგეს მხოლოდ ერთი (3 : 1) და წააგეს 2 (4 : 5 და 1:2). თურქეთთან უნგრელებმა მოიპოვეს ერთი გამარჯვება დიდი ანგარიშით (7 : 1), მაგრამ წააგეს მეორე (1:3). უელსელებთან უნგრელებს ბედი არ წყალობთ. ერთი შეხვედრა ფრედ (1 : 1) დამთავრდა, ხოლო მსოფლიოს VI ჩემპიონატში გაიმარჯვეს უელსელებმა (2:1).

საბჭოთა ფეხბურთელებს უნგრელები ხუთჯერ შეხვდნენ, მოიგეს ერთი (მოსკოვში 1 : 0), წააგეს ორი (მოსკოვში 3 : 1, ბუდაპეშტში 2 : 1) ორი დაამთავრეს ფრედ (თანაბარი ანგარიშით 1 : 1). ბურთების შეფარდება უარყოფითია უნგრელებისათვის 5 : 7.

კოპა და კოპერნიკი

ამას წინათ პარიზის ერთ-ერთ სკოლაში მოეწყო საანკეტო გამოკითხვა, რომელსაც უნდა გამოევლინა სასკოლო ახალგაზრდობის ინტერესები.

გამოკითხვით გამოირკვა, რომ მოსწავლეებმა ჩინებულად იცოდნენ ფეხბურთელ რ. კოპას სპორტული კარიერა და მისი პირადი ცხოვრების უმნიშვნელო დეტალებიც კი. სამაგიეროდ თუ ვინაა კოპერნიკი, ამის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა აღმოაჩნდა მხოლოდ ერთადერთ მოსწავლეს.

14 მარტს

რკინიგზელთა სახლში (პლეხანოვის პროსპექტი 127-ა) ჩატარდება სპორტული საზოგადოება „განთიადის" რესპუბლიკური აქტივის

კრება

დასასრულს ჩატარდება სპორტული საღამო და კონცერტი.

დასაწყისი 18 საათზე.

13 მარტს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. 35) შედგება საქრთველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს სპორტკავშირის პროპაგანდის სექციის

კულტურის სახალხო უნივერსიტეტის გახსნა

უნივერსიტეტის მსმენელთათვის ჩატარდება აკადემიკოს ა. ბოჭორიშვილის ლექცია თემაზე—„რა არის კულტურა" პროფ. ი. ცინცაძის ლექცია თემაზე „ხალხის კარგი ტრადიციების გამოყენება ახალგაზრდობის კულტურული ჩვევების აღზრდაში".

დასაწყისი 18 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო",
ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03867